რომისა და კართაგენის შედარება - პოლობიოსი

პოლიბიოსი, ძვ. წ. 203 – 120 წწ., ბერძენი ისტორიკოსი, რომელმაც შექმნა ნაშრომი "ისტორია". ეს ნაშრომი გადმოგვცემს ძვ.წ. 220-146 წლების მოვლენებს როგორც რომის იმპერიაში, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

დავალება:

გაეცანით **წყაროს N1**. ასევე, გაეცანით წერილობითი წყაროს ანალიზის შაბლონს. წყაროზე დაყრდნობით, უპასუხეთ შაბლონში მოცემულ შეკითხვებს.

წყარო N1

კართაგენის მმართველობა, როგორც ჩანს, დასაწყისიდან მოიცავდა იმ ფორმებს, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. მასში შედიოდნენ მეფეები სენატთან ერთად, რომელსაც ჰქონდა არისტოკრატული ძალაუფლება. ხალხსაც, შესაბამისად, ჰქონდა გარკვეული უფლებამოსილებები. მოკლედ რომ ვთქვათ, რესპუბლიკის სტრუქტურა ძლიერ წააგავდა რომისა და სპარტის სტრუქტურას. მაგრამ ჰანიბალის ომის დროს კართაგენის წყობა ჩამოუვარდებოდა რომისას. ბუნებამ ნებისმიერი მმართველობისათვის და ნებისმიერი საქმიანობისათვის სამი ერთმანეთის მომდევნო პერიოდი დააწესა. ესენია ზრდა, განვითარება და დაცემა. ვინაიდან განვითარების პერიოდი არის ხანა, რომელშიც ორივე რესპუბლიკამ დიდ სიძლიერეს მიაღწია, წარმოიშვა განსხვავებაც მათ შორის. კართაგენის მმართველობა, რომელმაც მანამდე სიმტკიცისა და სრულყოფის უმაღლეს მწვერვალებს რომზე ბევრად უფრო ადრე მიაღწია, ახლა უკვე დაღმასვლას განიცდიდა იმავე პროპორციით, ხოლო რომი ზუსტად ამ დროს ყველაზე აყვავებულ და სრულყოფილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამ განსხვავების შედეგი ის იყო, რომ კართაგენში ყველა საკითხის გადაწყვეტისას უდიდესი გავლენა ხალხს გააჩნდა, რომში კი - სენატს და ვინაიდან ერთ რესპუბლიკაში გადაწყვეტილებებს უმრავლესობა იღებდა, მეორეში კი ყველაზე გამოჩენილი ადამიანები, ეს უპირატესობა ისე ძლიერი აღმოჩნდა საქმეთა წარმოებაში, რომ რომაელები, მიუხედავად მრავალი წარუმატებლობისა, თავიანთი საბჭოების სიბრძნის წყალობით, ომში კართაგენელებზე ძლიერები აღმოჩნდნენ. თუ უფრო დაწვრილებით შედარებას შევუდგებით, დავინახავთ, რომ სამხედრო მეცნიერების მხრივ, მაგალითად, საზღვაო ბრძოლების წარმოებაში, კართაგენელები სჯობდნენ რომაელებს. აღნიშნული ცოდნა კართაგენელებს თავიანთი წინაპრებიდან საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ მიღებული, რის გამოც საზღვაო საქმეებში სხვა ხალხებზე უკეთ ერკვეოდნენ. მაგრამ რომაელები, მეორე მხრივ, ბევრად უფრო ძლიერები იყვნენ ყველაფერში, რაც ჯარის შექმნასა და დისციპლინას შეეხება. დისციპლინა, რომელსაც რომაელები უმთავრეს და მუდმივი ზრუნვის საგნად მიიჩნევენ, სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული კართაგენელებში, თუ არ ჩავთვლით იმ მცირე ზრუნვას, რომელსაც ისინი კავალერიის მიმართ იჩენენ. ამ განსხვავების მიზეზი ის არის, რომ კართაგენელებს უცხოელები ჰყავთ დაქირავებული, ხოლო რომაელთა ჯარები, პირიქით, დაკომპლექტებულია ქვეყნის მოქალაქეებითა და ხალხით. ამ მხრივ, რომის მმართველობა მეტ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე კართაგენისა. იმ დროს, როდესაც კართაგენელები საკუთარი თავისუფლების შენარჩუნებისათვის მოსყიდულ მეომრებს იყენებენ, რომაელები მხოლოდ საკუთარი ვაჟკაცობისა და
მოკავშირეთა მხარდაჭერის იმედზე არიან. ამის გამო ხდება, რომ რომაელებს, დასაწყისში დამარცხების მიუხედავად, ყოველთვის შეუძლიათ ბრძოლის განახლება, ხოლო

კართაგენელები ჯარის გადახალისებისას დიდ სიძნელეებს აწყდებიან. ამას ისიც დავუმატოთ, რომ რომაელებს, რომლებიც საკუთარი ქვეყნისა და შვილებისთვის იბრძვიან, არასოდეს უნელდებათ ბრძოლის ჟინი და თანაბარი მტკიცე სულისკვეთებით იბრძვიან მტერზე გამარჯვებამდე. ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ საზღვაო ბრძოლებშიც კი, რაშიც რომაელები ჩამოუვარდებიან კართაგენელებს, ხშირად აღწევენ წარმატებას საკუთარი მეომრების სიმამაცის წყალობით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ბრძოლებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნას და გამოცდილებას, გამარჯვების მოსაპოვებლად არანაკლებ მნიშვნელოვანია მასში მონაწილე მეომართა გმირობა და მამაცობა.
ახლა იტალიელები ბუნებით კართაგენელებსა და აფრიკელებზე მაღლა დგანან როგორც ფიზიკური სიძლიერით, ისე ვაჟკაცობით. ამას დავუმატოთ ისიც, რომ მათ გააჩნიათ გარკვეული სახის დაწესებულებები, რომელთა საშუალებითაც ახალგაზრდა კაცები იძენენ გმირულ სულისკვეთებას და შთაგონებას. როგორც რომის მმართველობის მიერ გამოჩენილი ყურადღების დადასტურება, საკმარისია დავასახელოთ ერთ–ერთი ტრადიცია, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეებში ისეთი სულისკვეთების ჩანერგვას, რომ ისინი ნებისმიერი საფრთხის წინაშე უკან არ დაიხევენ, რათა მოიპოვონ სახელი და დიდება. როდესაც რომელიმე გამოჩენილი პიროვნება კვდება, მის ნეშტს სამგლოვიარო პროცესია მიაცილებს ფორუმზე, როსტრას ტრიბუნისაკენ ზოგჯერ ვერტიკალურ მდგომარეობაში, ზოგჯერ კი, უფრო იშვიათად, დახრილად. ამ დროს ხალხს გამოეყოფა განსვენებულის ვაჟი, თუკი მას დარჩა საკმაო ასაკის, ან სხვა ვინმე პიროვნება მის ნათესავთაგან, ადის ტრიბუნაზე და ქება–დიდებას ასხამს გარდაცვლილის ღირსებებს და საგმირო საქმეებს, რომლებიც მან სიცოცხლეში ჩაიდინა. ამ სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმისას, რომელიც განადიდებს განსვენებულის წარსულს მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, არა მხოლოდ მისი გმირობების თვითმხილველნი და მონაწილეები, არამედ სრულიად უცხოებიც ისეთ მწუხარებას ეძლევიან, რომ მთელი ეს ცერემონია ეროვნულ უბედურებას უფრო ჰგავს, ვიდრე დასაფლავებას. შემდეგ მას მარხავენ ჩვეულებრივი წესით. ამის შემდეგ მის გამოსახულებას მოათავსებენ სახლის ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, ხის აკლდამაში, დღესასწაულებზე აკლდამას ხსნიან და გამოსახულებას საგანგებოდ რთავენ და ამკობენ.

წერილობითი წყაროს ანალიზი

წერილობითი წყაროს ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია ისტორიის სწავლა/სწავლებისას. ამ მეთოდის გამოყენებისას, მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნების, პრობლემის დასმისა და გადაჭრის, ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევები.

ნაბიჯი პირველი - მასწავლებელი უნდა შეეცადოს იმგვარი წყაროს შერჩევას, რომელიც მოსწავლეებს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას მისცემს. წყარო ან მისი მონაკვეთი არ უნდა იყოს ძალიან მოცულობითი (მაქსიმუმ ორი-სამი გვერდი). წყაროს გაცნობამდე, შესაძლებელია მოსწავლეებს მივაწოდოთ გარკვეული ინფორმაცია იმ ეპოქის შესახებ, რომელშიც შეიქმნა ეს წყარო ან მოთხრობილია მასში. ეს აქტივობა შესაძლებელია შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ინდივიდუალური სამუშაოს ჩატარებისას თითოეულ მოსწავლეს ურიგდება შაბლონი, ხოლო ჯგუფური მუშაობის დრო - თითოეულ ჯგუფს.

ქვემოთ გთავაზობთ წერილობითი წყაროს ანალიზის შაბლონს, რომელიც შეიძლება მასწავლებლებმა მაღალ კლასებში სწავლებისას გამოიყენონ.

ნაბიჯი მეორე - შაბლონის შევსება წარმოადგენს წყაროს ანალიზის მხოლოდ პირველ ნაბიჯს. მოსწავლეები სწავლობენ ბევრად მეტს თუ საკუთარ იდეებსა და მოსაზრებებს სხვასაც გაუზიარებენ. ამიტომ ამ შაბლონის შევსების შემდეგ მოსწავლეებს საშუალება უნდა მივცეთ,

წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები, რაც საინტერესო დისკუსიის მიზეზი შეიძლება გახდეს. შესაძლებელია, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ზოგიერთმა მოსწავლემ შეიცვალოს თავისი პირვანდელი აზრი.

ასე რომ, შაბლონის შევსება შეიძლება განვიხილოთ როგორც წყაროს ანალიზის საწყისი ეტაპი.

წერილობითი წყაროს ანალიზის შაბლონი

<u>ავტორი</u>

- ვინ არის წყაროს შემქმნელი?
- როგორია წყაროს ავტორის მსოფლმხედველობა და თვალსაზრისი მის მიერ აღწერილი მოვლენების მიმართ?

<u>დრო და ადგილი</u>

- სად და როდის შეიქმნა წყარო?
- როგორ შეიძლება იმოქმედოს წყაროს შექმნის დრომ და ადგილმა მის შინაარსზე?

<u>აუდიტორია</u>

- ვისთვის შეიქმნა ეს წყარო და როგორი გავლენა შეეძლო მოეხდინა ამ წყაროს ადრესატს მის უტყუარობაზე?

<u>მიზეზი</u>

- რა იყო ამ წყაროს შექმნის მიზეზი და როგორი გავლენა შეეძლო მოეხდინა ამ წყაროს შექმნის მიზეზს მის უტყუარობაზე?

<u>ძირითადი იდეა</u>

- რა ძირითადი იდეა/იდეებია გადმოცემული წყაროში? დეტალურად დაასახელეთ ეს იდეები.

<u>მნიშვნელობა</u>

- რამდენად მნიშვნელოვანია წყარო?
- რატომ არის მნიშვნელოვანი?